მიგრანტ მშობლებთან თანამშრომლობა სკოლამდელ განათლებაში

იაგორ ბალანჩივაძე, ბაია ბალანჩივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
E-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.03

მიგრანტ მშობლებთან წარმატებული თანამშრომლობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პორტფოლიოს გამოყენებას, რადგან სწორედ მისი დახმარებით შეუძლია აღმზრდელ-პედაგოგს მოამზადოს მშობლთან შესახვედრად მოკლე წერილობითი ანგარიში, რომელიც დაეხმარება ოჯახს სხვადასხვა სფეროში ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გააზრებაში.

პორტფოლიო უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობებისა და განვითარების ეტაპებზე გამოვლენილი უნარების ამსახველი, რომელიც უნდა მიეწოდოს ოჯახს. დეტალები შეჯამდება მოკლე წერილობით ანგარიშში, რომელიც დაეხმარება ოჯახს სხვადასხვა სფეროში ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გააზრებაში.

ოჯახისთვის შემაჯამებელი ანგარიშის მომზადების საწყისი ეტაპი პროცესის გაანალიზებაა. ამისათვის აღმზრდელ-პედაგოგი გამოყოფს დროს დოკუმეტაციის გადასახედად, რათა განსაზღვროს ბავშვის ზრდისა და განვითარების შედეგები. ეს დიდ დახამრებას უწევს აღსაზრდელის წინსვლის გააზრებასა და პრობლემური სფეროების გამოვლენაში. ის უკვე არსებული მონაცემების საფუძველზეც განსაზღვრავს ოჯახისთვის მისაწოდებელ მასალას. ანაგარიშის ფორმა სკოლამდელი დაწე-სებულებას ან თავად აღმზრდელ-პედაგოგს შეუძლია შეარჩიოს, უმთავრესი ასპექტების ხაზგასმაა საჭირო. გვახსოვდეს, განხილვისთვის აღმზრდელ-პედაგოგს ბავშვის პორტფოლიოს დოკუმენტაციის წარდგენაც მოუწევთ. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია პორტფოლიოში მოცემულ მონაცემებს შეესაბამებოდეს. ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთს მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს.

ანგარიში ბავშვების შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ ივსება დიდი სიფრთხილით. გრაფაში „ჩვენი მიღწევები“ ჩაწერილ კომენტარებში აქცენტს აკეთებს ბავშვის ზრდასა და გავითარებაზე, რა ნაბიჯები არის გადადგმული. ბავშვის საჭიროებებსა და გამოწვევებზე სასაუბ-როდ გამოყენებულია გრაფა „სამომავლო გეგმები“. აქ ასახელებს იმ სფეროებს, რომლებზეც დაგეგმილი არის დამატებითი აქტივობები და მხარდაჭერა. შესაძლებელია ოჯახებს სთხოვოს, მიზნების დაგეგმვაშიც მიიღონ მონაწილეობა.

სასურველია, ოჯახის წევრებთან პირისპირ შეხვედრა ინფორმაციის გასაზიარებლად, რომელიც შესაძლოა, საოცრად სასარგებლო და შინაარსიანი აღმოჩნდეს. ბავშვების განვითარების შესახებ ინფორმაციის გაცნობა ოჯახებისთვის და სიხარულისა თუ პრობლემების გაზიარება ორივე მხარეს ბავშვის საჭიროებების გააზრებასა და დაკმაყოფილებაში ეხმარება. ოჯახებს საკუთარი ბავშვების მიმართ განსაკუთრებული ხედვა აქვთ; აღმზრდელ-პედაგოგთან შედა-რებით, მათ უკეთ იცნობენ და უფრო კარგად ესმით მათი. ბავშვები, როგორც წესი, სხვადასხვა გარემოში სხვადასხვანაირად იქცევიან. ოჯახებმა იციან შინაურ გარემოში ბავშვების ძილისა და კვების რეჟიმი და შეუძლიათ, მაგალითად, ტუალეტის პროცედურების მიდგომის გაზიარება.

როგორც ოჯახის წევრებს, ისე აღმზრდელ-პედაგოგებს სურთ, რომ ბავშვები განვითარდნენ და წარმატებას მიაღწიონ. ოჯახებს აინტერესებთ, რომელი პროგრამა ახდენს მათ ბავშვზე

დადებით გავლენას. მათ სურთ, რომ ადრეული ასაკის პროგრამის პერსონალი საკუთარ ქცევაზე პასუხს აგებდეს; სურთ, რომ პროგრამის მიზნები ბავშვების ყოველდღიურ აქტივობებზე აისახოს. მშობლებს აინტერესებთ, თუ როგორ ვითარდება მათი შვილი, რა აქტივობებში მონაწილეობს და რისი გაკეთება მოსწონს. მათ აინტერესებთ განვითარებისა და სწავლის რომელი ძლიერი მხარეები შეამჩნიეთ ბავშვში. ისინი, შესაძლოა, ნერვიულობდნენ იმ ნაწილებზე, რომლებიც პრობლემურ სფეროებად გამოყავით. ოჯახებთან ერთად დროის გამოყოფით თქვენ მათ ატყობინებთ, რომ ბავშვი კარგ პირობებშია და იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მას ზრდასა და სწავლაში ეხმარებიან.

ინფორმაციის გასაზიარებლად, ოჯახის წევრებთან შეხვედრები რეგულარულად უნდა დაიგეგმოს. ბევრი პროგრამა წლის განმავლობაში ორ ან სამ კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს მშობლებთან შესახვედრად, რათა აღმზრდელებმა ოჯახის წევრებთან ერთად ბავშვის განვითარების პროცესი განიხილონ.

შეხვედრა აუცილებლად ისეთ დროს უნდა დანიშნოთ, რომ ყველა მშობელმა შეძლოს მოსვლა. ხშირად, ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ შეხვედრებზე მშობლების მოუსვლელობა პერსონალის გაღიზიანებას იწვევს, ამიტომ ოჯახებს უნდა ჰქონდეთ მათთვის ხელსაყრელი დროისა და ადგილის შერჩევის შესაძლებლობა. ოჯახების დღის განრიგი განსხვავდება ერთმანეთისგან. შეიძლება, ვერასდროს მოხერხდეს ყველა მშობლის ერთსა და იმავე დღის კონკრეტულ დროსა და ადგილზე შეხვედრის გამართვა, ამიტომ ისინი ინდივიდუალურად უნდა დაიგეგმოს. არ არის გამორიცხული, რომ შეხვედრა საღამოს საათებში რომელიმე ოჯახშიც კი შედგეს. მშობლებს, რომელთაც გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ, შესაძლოა, საუზმის ან სადილის დროს რესტორანში, კაფეშიც შეხვდეთ და იქ ისაუბროთ, ეს ეხება იმ მშობლებს, რომლებიც ადგილზე არიან.

რიგ შემთხვევებში, ერთადერთი გამოსავალი ე.წ. სატელეფონო კონფერენციაა, მაგრამ მსგავსი ტიპის ურთიერთობისას არ ჩანს სრული სურათი და ჩნდება პრობლემა - პორტფოლიოს ნაწილებსა და შემაჯამებელ ანგარიშს ერთობლივად ვერ განიხილავთ. თუ ოჯახის წევრებს ამ მასალას სატელეფონო კონფერენციამდე მიაწვდით, მაშინ ისაუბრებთ ბავშვის მხოლოდ იმ დრომდე მიღწეულ შედეგებზე. ოჯახებთან შეხვედრისა და მათთვის დოკუმენტების გაზიარების შემოქმედებითი გზების ძიება, ადამიანებს აფიქრებინებს, რომ აფასებთ და ზრუნავთ მათზე. მთავარია, გვახსოვდეს: თუკი ოჯახი ვერ ახერხებს დადგენილ დროსა და ადგილას შეხვედრაზე დასწრებას, თქვენ უნდა აიღოთ მათთვის ხელსაყრელ დროსა და პირობებში შეხვედრის გამართვის პასუხისმგებლობა, რაც ყველაზე კარგდა გამოიყენება მიგრანტ მშობლებთან.

ოჯახებთან შეხვედრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გულდასმით მოსმენით უნარს. როდესაც თანამოსაუბრეს ყურადღებით უსმენენ, მას ექმნება განცდა, რომ მისი აზრები მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ბუნებრივია, ყოველთვის მარტივი არ არის იმის მოსმენა და გაგება, რასაც ოჯახის წევრები ამბობენ. ზოგ შემთხვევაში, იმაზე ფიქრით ხართ გართული, თუ რა ინფორმაციის გაზიარება გსურთ ბავშვის განვითარებისა და ზრდის შესახებ.

ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე ბავშვის პორტფოლიოს წარდგენისას, განიხი-ლეთ პორტფოლიოში თავმოყრილი დოკუმენტაცია და მშობელთა შეხვედრისთვის შესრულებული შემაჯამებელი ანგარიში. აუცილებლად მოემზადეთ ამ ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვამდე.

შეხვედრის დამასრულებელ ნაწილში აღმზრდელ-პედაგოგებმა უნდა გამოხატონ მადლიერება და პატივიცსემა მშობლების წინაშე ამ პროცესით დაინტერესებისა და მასში მონაწილეობის მიღების გამო. თქვენ ხაზი უნდა გაუსვათ გარემოებას, რომ მათი მონაწილეობა სამომავლო გეგმის შედგენაში მნიშვნელოვანია.

აღმზრდელ-პედაგოგებსა და ოჯახის წევრებს შორის გამართული წარმატებული შეხვედრა ყველა მხარისთვის სასარგებლოა. როდესაც თქვენი დაკვირვებების შეფასებისთვის მოცემულ ფორმატს იყენებთ, ოჯახის წევრები პროცესში უფრო მარტივად ერთვებიან და უფრო ნათლად ხედავენ, რითაა დაკავებული მათი ბავშვი.

მოკლე წერილობითი ანგარიში ივსება დიდი სიფრთხილით. გრაფაში „ჩვენი მიღწევები“ აქცენტს აკეთებს ბავშვის ზრდასა და გავითარებაზე, რა ნაბიჯები არის გადადგმული და რას მივაღწიეთ. მაგ.: სფერო „ფიზიკური და სენსორული განვითარება“ - ადვილად დახტის და დაცოცავს; ის სამი თითით იჭერს ფანქარს და სახატავ საგნებს, აწყობს მძივებს, იყენებს მაკრატელს.

ბავშვის საჭიროებებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ გამოყენებულია გრაფა „სამომავლო გეგმები“ მაგ.: მივცემთ შესაძლებლობას, მსხვილი მოტორიკა უფრო კომპლექსურად გამოიყენოს, მაგალითად, დაბრკოლებების გადალახვით, როგორც შენობაში, ისე - ღია ცის ქვეშ, ნატიფი მოტორული უნარები კი გამოიყენოს - ხელოვნების, სამაგიდო და მანიპულაციის ცენტრებში. ასახელებს სად არის დაგაგემილი დამატებითი მხარდამჭერი აქტივობები. მიგრანტ დედასთან ონლაინ ჩართვის დროს ვთხოვოთ მას, მიზნების დაგეგმვაში მიიღონ მონაწილეობა. მშობლებს საკუთარი ბავშვების მიმართ განსაკუთრებული ხედვა აქვთ; აღმზრდელ-პედაგოგებთან შედარებით, უკეთ იცნობენ და უფრო კარგად ესმით ბავშვის, შესაბამისად მათი რცევები ,ნიშვნელოვანია.

მოკლე წერილობით ანგარიშებს დარჩენილი სფეროების მიხედვით არის შემდეგი სახის:
სფერო: სოციალურ-ემოციური განვითარება

ჩვენი მიღწევები	ადვილად ახერხებს მშობელთან განშორებას; იცის საკუთარი, ოჯახის წევრების, აღმზრდელებისა და რამდენიმე თანატოლის სახელი. ამჩნევს და ასახელებს სხვების ემოციებს (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას).
სამომავლო გეგმები	შევეცდებით გამოხატოს მზაობა მზრუნველის გარეშე დაკავდეს ახალი საქმიანობებით. შევეცდებით ვიზრუნოთ საკუთარ თავზე. დრამატულ ცენტრში შევეცდებით სწორად გავიგოთ სხვების განცდები. ჩემი დახმარებით ისწავლოს სათამაშოებისა და სხვა საგნების თანატოლებზე განაწიელება.

სფერო: კომუნიკაციური უნარების ენისა და მეტყველების განვითარება

ჩვენი მიღწევები	ესმის რამდენიმე ასეული სიტყვის მნიშვნელობა. შეუძლია გამოიყენოს საგნის, მოქმედების, მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები. შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს.
სამომავლო გეგმები	თანმიმდევრულად შეასრულოს ლოგიკურად დაკავშირებული 4 მარტივი მითითება. მივცემთ შესაძლებლობას გამოიყენოს საგნის ზომის, ფერის, კუთვნილების, დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვები. პასუხის მისაღებად გამოიყენებს შემდეგ კითხვებს: მაგ., რატომ? როდის? როგორ?. შეძლებს ერთმანეთისაგან განასხვავოს ასოები და რიცხვები.

სფერო: შემეცნებითი განვითარება

ჩვენი მიღწევები	სვამს მარტივ შეკითხვებს: „რატომ?“, „სად?“ (მაგ.: რატომ უნდა წავიდეს სახლში? სად არის დედა? და ა.შ.). თამაშობს წარმოსახვით თამაშებს (მაგ., სახლობანას, მაღაზიობანას და სხვა). ერთ მოქმედებას მეორეთი ანაცვლებს (მაგ., ეს არ გამომივიდა, სამაგიეროდ, ეს გავაკეთე).
სამომავლო გეგმები	შეძლებს დაუბრუნდეს დაწყებულ საქმიანობას, რომელიც შეაწყვეტინეს. პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენებს მინიმუმ ორ განსხვავებულ სტრატეგიას.

	დააკვირდება ბუნების მოვლენებს (მაგ., სვამს კითხვას: „რატომ წვიმს?“).

სფერო: დამოიკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება

ჩვენი მიღწევები	მონაწილეობს დალაგებაში (სათამაშოების, ტანსაცმლის და სხვა) და იცის საკუთარი ნივთების ადგილი. გამოთქვამს თავის აზრს, რის გაკეთება სურს. იყენებს ჩანგალს და ხელსახოცს. დამოუკიდებლად იმშრალებს ხელებს.
სამომავლო გეგმები	შეუხსენებლად დააბრუნებს ნივთებსა და მასალას თავის ადგილას. შეუერთდება უკვე დაწყებულ თამაშს და მოძებნის საკუთარ როლს (ადგილს). შეეცდება გაიხადოს დამოუკიდებლად, მცირედი დახმარებით. ხველისას ან დაცემინებისას შეძლებს ხელსახოცი ან ხელი აიფაროს. წარუმატებელი მცდელობის შემდეგ შეძლებს დახმარება მოითხოვოს.

გამოცდილი აღმზრდელ-პედაგოგები გვირჩევენ, რომ მშობლებთან საუბრისათვის გამოვიყენოთ ფორმატი: თავდაპირველად განვიხილოთ ბავშვის მიღწევები, შემდეგ კი - თქვენი მიზნები და პრობლემური სფეროების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მშობლებისთვის პრობლემური სფეროების გარშემო საუბარი ბევრად მარტივია მაშინ, როდესაც ბავშვის წინსვლისა და ზრდის მაგალითებს უკვე იცნობს.

ვფიქრობთ, მსგავსი დამოკიდებულება გაზრდის აღმზრდელ-პედაგოგების მიგრანტ მშობლებთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: მიგრანტი, მიღწევები, საჭიროება, ანგარიში, შევხედრა, განვითარება.

ლიტერატურა:

1. გეი როლუნიდი, მერლინ ჯეიმსი - „ფოკუსირებული დაკვირვება“ როგორ დავაკვირდეთ ბავშვებს შეგასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისას. თბილის, 2013 წ.
2. სტეფენ საიფერი, იაგორ ბალანჩივაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ გაბისონია, ნინო ლაბარტყავა, ნინო ფრუიძე, თამარ ლორია ,,სასკოლო მზაობის პროგრამა, თამაში სწავლისა და განვითარებისთვის, აღზმრდელის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2015წ.
3. სპეციალური პედაგოგის როლი ბაგა-ბაღში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2018 წ.
4. ნათია გორგაძე - „ბილინგვური განათლების შეფასების გზამკვლევი“. თბილისი, 2020წ.
5. ხათუნა დოლიძე, ნინო ცინცაძე, თამთა კუხალეიშვილი, ნინო ჯიჯავაძე, იაგორ ბალანჩივაძე, ირმა გრიგოლია, ნუგზარ აბაკელია ,,ბაგა-ბაღის აღზმრდელი პედაგოგის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2015წ.

Iagor Balanchivadze, Baia Balanchivadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
E-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.03

Cooperation with Migrant Parents in Preschool Educational Landscape

Abstract

The article discusses successful collaborfation with migrant parents, which promotes the holistic development of the child.

The initial stage of preparing a summary report for migrant parents is to analyze the ongoing process in order to determine the results of the child's growth and development, determine achievements and identify problem areas.

In a short written report, the educator will summarize two points: our achievements with the child in all five areas of develomnet and future goals that he and his colleagues will continue to work on. When engaging with a migrant mother online, ask her to participate in goal planning. Parents have a unique perspective on their children; Compared toeducators, they know and understans better.

Migrant parents are interested in how their child is developing, what activities they participate in, and what they like to do kindergarden. They are interested in what strenght we have noticed in terms od developmental areas.

Experienced educators recommend using the following format for talking to parents: first discuss the child's achievements, then your goals and problem areas.

We believe that such an attitude will increase the cooperation of educators with migrant parents and their involvement in the holistic development of the child.

Keywords: ∂migrant, achievement, nees, report, review, development